საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/59 " 5 " ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ნ. ზარქუას თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №1/35 განკარგულებით ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ კოლეგიაში მოსამართლის 51 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 41 მოსამართლე ახორციელებს. საერთო სასამართლოთა შორის, დატვირთვის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული სასამართლოა.

გამოცხადებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 7 მოსამართლის, მათ შორის სამტრედიის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის - ნონა ზარქუას განაცხადი. ნ. ზარქუას აქვს მოსამართლედ მუშაობის 17-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა დმანისის რაიონულ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ, ვაკე-საბურთალოს რაიონულ და თბილისის საქალაქო სასამართლოებში. მისი სამოსამართლო სტაჟი და გამოცდილება ქნის იმის წინაპირობას, რომ იგი შეძლებს წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება თბილისის საქალაქო სასამართლოს დატვირთულობის პირობებში. ამასთან, ნ. ზარქუას აქვს საცხოვრებელი სახლი თბილისში, რაც არ გამოიწვევს დამატებითი მატერიალური რესურსის ხარჯვას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ნონა ზარქუა გათავისუფლდეს ხონის მუნიციპალიტეტში სამტრედიის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, 2020 წლის 10 ივნისიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი